ახალგაზრდებს მეტი ინიციატივის გამოჩენა მართებთ

თბილისის “დინამოსა” და კუიბიშევის “ზენიტის” მატჩის დაწყებიდან სულ 4 წუთი იყო გასული. თბილისელთა მარჯვენა მცველმა ელოშვილმა, რომელიღაც თავდამსხმელს მძაფრ ბრძოლაში გამოსტაცა ბურთი, გაიჭრა წინ, მიუახლოვდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანს და კ. გაგნიძეს გადააწოდა. გაგნიძემ კარგად მიიღო ბურთი, გვერდი აუარა შირიაევს (#4) და კართან გავიდა. ყველაფერი ეს მოხდა სწრაფად, მოულოდნელად, ისე, რომ კუიბიშეველებმა ვერ მოასწრეს გზების გადაკეტვა და ადგილების შერჩევა.

შირიაევი იძულებული იყო უკანასკნელი “ხერხი” ეხმარა – მან ფეხი გამოსდო გაგნიძეს სწორედ მაშინ, როცა იგი მეკარესთან პირისპირ დარჩენილი, კარში დარტყმას აპირებდა. 11–მეტრიანი საჯარიმო ღოღობერიძემ ოსტატურად გამოიყენა – 1:0.

ასე დაიწყეს თბილისელებმა თამაში და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ხელთ ეპყრათ ინიციატივა. ისევე, როგორც წინა შეხვედრაში მოსკოვის “დინამოსთან”, თავდამსხმელები თამაშობდნენ გაშლილი ფრონტით, მოედნის მთელ სიგანეზე. ბურთი შეუჩერებლივ მოძრაობდა მოთამაშეთა შორის და თუ რომელიმე გააჩერებდა მას, მხოლოდ იმისათვის, რომ ან პარტნიორი გასულიყო თავისუფალ ადგილზე, ან დრიბლინგის შემდეგ თვითონ გადაენაცვლა უკეთეს პოზიციაზე. კოტრიკაძე, კალოევი, ჭკუასელი, კ. გაგნიძე ტემპიანი, სწრაფი კომბინაციებით, ადგილების შეცვლით ხშირად გადიოდნენ “ზენიტის” საჯარიმო მოედანზე, ვოლგელთა მცველებს აიძულებდნენ ეთამაშათ მაქსიმალური დატვირთვით. ნახევარდაცვა (მახარაძე–ანთაძე) წარმატებით ასრულებდა თავის მოვალეობას.

მაყურებელთა საერთო ყურადღებას ორი მოთამაშე იპყრობდა. ვირტუოზულად თამაშობდა თბილისის “დინამოს” სული და გული ა. ღოღობერიძე და ელოშვილი. ამ უკანასკნელმა თავის ფლანგზე საიმედოდ ჩაკეტა ყველა მისასვლელი გზა კარისაკენ, თამამად, შეუცდომლად არღვევდა ზენიტელთა კომბინაციებს და უშუალო საფრთხეს ქმინდა მათ კართან. მარჯვენა ფრთიდან კუთხურის მოწოდებისას გუნდები ახლა პირველ ყოვლისა, ზრუნავენ ელოშვილისაგან დაიცვან თავი.

დინამოელთა გულმოდგინე იერიშებს დიდი ხნის განმავლობაში შედეგი არ მოჰყოლია. 30–ე წუთზე თბილისელებმა მარჯვენა ფრთაზე ზუსტი, რამდენიმე-სვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, სადაც მონაწილეობა მიიღო ანთაძემაც. ყველა მოელოდა კომბინაციის ლოგიკურ გაგრძელებას ამავე ფრთაზე, მაგრამ ანთაძემ მოულოდნელად მკვეთრად შესცვალა გადაცემათა “მშვიდობიანი” მსვლელობა და ძლიერი დარტყმით ბურთი შორს მარცხნივ გადასცა ღოღობერიძეს. მეკარემ და ორმა მცველმა უკიდურესი დაძაბვით შეძლეს კარის გადარჩენა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ღოღობერიძე კვლავ სახიფათო ზონაში გაიჭრა, სადაც იგი კარპოვმა (#5) აკრძალული ილეთით წააქცია. ჭკუასელმა საჯარიმოდან მიაწოდა ღოღობერიძეს, ხოლო ამ უკანასკნელმა უძლიერესი დარტყმით კარში გაგზავნა ბურთი, რომელიც მოხვდა ძელს და ხაზის გასწვრივ გაგორდა. კოტრიკაძემ მოუსწრო მას და ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში თბილისის “დინამო” მოედანზე ანთაძემ გამოიყვანა. ღოღობერიძეს ნატკენმა ფეხმა არ მისცა თამაშის განგრძობის საშუალება.

45 წუთის განმავლობაში სრული უპირატესობა ეპყრათ კუიბიშეველებს. თავისი ლიდერის გარეშე “დინამოს” ვერც ერთმა თავდამსხმელმა ვერ შეძლო

თამაშის აწყობა. ჭკუასელი, კალოევი და კოტრიკაძე ყოველგვარი გეგმის, მიზანდასახულობისა და ენერგიის გარეშე თამაშობდნენ. უმიზნოდ, უსარგებლოდ დარბოდა ვარდიმიადი. ამ მატჩის მეორე ნახევარმა ცხადყო, რომ ჩვენი გუნდის ახალგაზრდა თავდამსხმელები "თავს კარგად გრძნობენ" მხოლოდ მაშინ, როცა მათ გვერდით იმყოფება ღოღობერიძე. საკმარისი იყო ღოღობერიძის გასვლა თუნდაც მეორე ნახევარში, რომ ახალგაზრდებმა დაყარეს ფარხმალი და მოწინააღმდეგის კარისაკენ ზურგშექცეული, უმწეოდ (შეიძლება ითქვას, გულგრილადაც) შეჰყურებდნენ თავისი ნახევარდაცვის, დაცვისა და მეკარის თავგანწირულ თამაშს.

იგრძნეს რა თბილისის გუნდის თავდამსხმელთა უმწეობა, ზენიტელებმა იერიშზე ნახევარმცველებიც გადმოიყვანეს. განსაკუთრებით მწვავედ, ძლიერად თამაშობდა სტუმრების ცენტრალური სამეული – ვოროშილოვი, გულევსკი, ზაპრიაგაევი. გულევსკი ხშირად გამოდიოდა გამარჯვებული რუსაძესთან ბრძოლაში, ზაპრიაგაევი მოხერხებულად პოულობდა თავისუფალ ადგილს თავდასხმის ყოველ ფაზაში, მეტად სახიფათო იყო ვოროშილოვის გარღვევები.

მე–15 წუთზე გულევსკიმ ახლო მანძილიდან გაქვითა ერთ ბურთი. შემდგომში თბილისის "დინამოს" კართან მრავალი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ მცველები მძიმე ბრძოლაში ახერხებდნენ ბურთის მოგერიებას. ბრწყინვალედ ითამაშა მარღანიამ, რომელმაც აიღო გულევსკის, ვოროშილოვისა და ზაიცევის მიერ დარტყმული მეტად ძნელი ბურთები, ხოლო თამაშის ბოლო, 90–ე წუთზე მარღანიამ და ელოშვილმა კარი აშკარა გოლისაგან იხსნეს.

თბილისის "დინამომ" შეინარჩუნა გამარჯვება ანგარიშით 2:1.

დუბლიორთა შეხვედრაში გაიმარჯვეს კუიბიშეველებმა – 2:1.

რ. ქორიძე.

"ლელო", 16 აგვისტო, 1953 წ.